F76 №460

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიტერატურული საქართველო

სამშაბათი, 1 სექტემბერი, 1942 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 34 (245). ფასი 30 კაპ.



# ამიერ-კავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგი

23 აგვისტოს თბილისში შესდგა ამიერ-კავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგი. მიტინგმა უდიდესი და მკვეთრი ძალით ასახა ის გრძნობები და აზრები, რომლებითაც ამიერ-კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხები ამ მრისხანე დღეებში ცხოვრობენ. ეს გრძნობები და აზრები ემორჩილება ერთიან საბრძოლო ამოცანას: ჰიტლერელთა ურდოების გააფთრებულ შემოტევას დავუპირდაპიროთ საბჭოთა ადამიანების რკინისებური მედგრობა, შევაჩეროთ, უკუვაქციოთ და გავანადგუროთ მტერი.

რუსთაველის სახელობის თეატრის დარბაზი მორთულია გმირი წითელი არმიისადმი, სსრ კავშირის ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობისადმი, საყვარელი სოციალისტური სამშობლოსადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი ლოზუნგებით:

— საბჭოთა სამშობლოსათვის მიდიან ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა შვილები. გაუმარჯოს წითელ არმიას—სსრ კავშირის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის არმიას.

— გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

— გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან სამშობლოს, მის თავისუფლებას, მის დამოუკიდებლობას!

მაღლა, სცენის ზემოთ, ხასხასა წითელ ტილოზე წარწერილია მშობლიური **სტალინისადმი** მისალმების სიტყვები.

— გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

სცენის სიღრმეში მოთავსებულია **ვ. ი. ლენინის,** წითელი არმიისა და სსრ კავშირის ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **ი. ბ. სტალინის** პორტრეტები, ამხანაგების **ვ. მ. მოლოტოვისა** და **ლ. პ. ბერიას** პორტრეტები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები გ. სტურუა, ი. თავაძე, ი. კოჭლამაზაშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, პოლკის კომისარი ა. ხრომოვი, საბჭოთა კავშირის გმირი მ. გახოკიძე, სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. კარაპეტიანი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ს. სააკიანი, პოეტი სამედ ვურგუნი, პროფესორი ჰაჯი კასუმოვი, აზერბაიჯანელი მწერალი მ. იბრაჰიმოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სომხეთის ფილიალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე აკადემიკოსი ი. ორბელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. დელბა, აკადემიკოსები ს. ჯანაშია, ი. ბერიტაშვილი, ა. ჯანელიძე, კ. ზავრიევი, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ა. დანიელიანი, ა. ხორავა, ა. ვასაძე, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები მ. ჭიაურელი, ე. სოხაძე, ი. აბაშიძე, კ. გამსახურდია, გ. ქიქოძე, ამხ. გ. ცქიტიშვილი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები.

ლოჟებში არიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, ვ. ბუჯიაშვილი, ს. იშხანოვი, ს. ხოშტარია, მ. ჯაში, ე. ჩერქეზია, ზ. კეცხოველი და სხვ.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. თ. სტურუამ.

მიტინგის ტრიბუნაზე ზედიზედ გამოდიან ამიერ-კავკასიის ხალხთა წარმომადგენლები. ყოველი მათგანი ლაპარაკობს ფაშისტი ბარბაროსების ველურ ბოროტმოქმედებათა შესახებ, ნგრევისა და სიკვდილის შესახებ, რომლებიც თან მოაქვთ გერმანელ დამპყრობლებს. ისინი ლაპარაკობენ თავიანთ სიძულვილზე მტრისადმი, შურისძიების გრძნობაზე, რომელიც მათ გულში გიზგიზებს, მრისხანე საფრთხეზე, რომელიც თავს დასტრიალებს საბჭოთა ამიერ-კავკასიას. მიტინგის მონაწილენი მოუწოდებენ ამიერ-კავკასიის ხალხებს კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ **ლენინ-სტალინის** დროშის ქვეშ საზიზღარი ფაშისტი ქვეწარმავლის წინააღმდეგ საბრძოლველად, კიდევ უფრო თავდადებით იშრომონ ფრონტისათვის, გამარჯვებისათვის.

— დავიცვათ ჩვენი დიადი სოციალისტური მონაპოვარნი, ჩვენი თავისუფალი ცხოვრება! ამიერ-კავკასიის ხალხები არასოდეს არ იქნებიან ჰიტლერის მონები! სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!—გაისმის მიტინგის ტრიბუნიდან საბრძოლო ლოზუნგები.

მკაფიო, მგზნებარე სიტყვებით გამოვიდნენ ტრესტ „ორჯონიკიძენეფტის" მმართველი საბიტ ორუჯევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სომხეთის ფილიალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე აკადემიკოსი იოსებ ორბელი, საბჭოთა კავშირის გმირი მიხეილ გახოკიძე, აზერბაიჯანელი პოეტი, სტალინური პრემიის ლაურეატი სამედ ვურგუნი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მიხეილ დელბა, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე სიმაკ სააკიანი, აზერბაიჯანის სსრ მასწავლებელი ქალი საიდა იმანოვა, ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, ბაქოს პარიზის კომუნის სახელობის ქარხნის მუშა გ. ხარიტონოვი, სომეხი პოეტი ნაირი ზარიანი, აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი, გენერალ-მაიორი ა. ბაბინი, ოსი კომპოზიტორი ბ. გალაევი, საქართველოს სსრ სოფელ იგოეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე მარო ჩადუნელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი აიკანუშ დანიელიანი და ქართველი მწერალი გერონტი ქიქოძე.

მიტინგი განსაკუთრებული აღფრთოვანებით იღებს მიმართვას აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ხალხებისადმი. მიმართვის ტექსტს კითხულობს აკადემიკოსი ს. ჯანაშია.

უდიდესი აღფრთოვანების დაუვიწყარ ვითარებაში ერთსულოვნად, მიტინგის მონაწილეთა ტაშის გრიალში მიღებულ იქნა მისალმება სსრ კავშირის ხალხთა დიდი ბელადისა და მხედართმთავრის **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისადმი.** მქუხარე „ვაშა", ქარიშხლისებური აღტაცებული ტაში ერთვის „ინტერნაციონალის" მძლავრ, საზეიმო ჰანგებს. ამხანაგ **სტალინისადმი** მისალმების ტექსტს კითხულობს აზერბაიჯანელი მწერალი ამხ. მირზა იბრაჰიმოვი.

ამიერ-კავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური მიტინგი—ეს იყო მძლავრი დემონსტრაცია საბჭოთა პატრიოტიზმისა, ხალხთა სტალინური მეგობრობისა, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ხალხთა განუხრელი გადაწყვეტილებისა მთელი ძალღონით იბრძოლონ თავიანთი თავისუფლებისა და ღირსებისათვის, გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე სრული გამარჯვებისათვის.

მიტინგი ტრანსლირებულ იქნა რადიოთი.

# სსრ კავშირის ხალხთა დიდ ბელადსა და მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ჩვენ, ამიერ-კავკასიის ხალხთა წარმომადგენლები, რომლებიც ამ მრისხანე დღეებში შევიკრიბენით ანტიფაშისტურ მიტინგზე თბილისში, მხურვალედ მოგესალმებით თქვენ, საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდ ბელადსა და მხედართმთავარს, ჩვენს საყვარელ მასწავლებელსა და მეგობარს.

დიადი და ურღვევი სტალინური მეგობრობით შეკავშირებულ ამიერ-კავკასიის ხალხთა სახელით სიყვარულისა და მადლობის სიტყვებით მოგმართავთ თქვენ ყველა იმ სიკეთისა და მონაპოვართათვის, რასაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა მიაღწიეს თქვენი ხელმძღვანელობით, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით.

საბჭოთა ხელისუფლებამ ღრმა უფსკრულში გადაისროლა საუკუნეობრივი ჩაგვრა, რომელიც ამიერ-კავკასიის ხალხთა შემოქმედებითს ძალებს ახშობდა, იხსნა მშრომელნი ერთა შორის შუღლის კოშმარისაგან.

თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ამიერ-კავკასიის ხალხებმა პირველად მოიპოვეს ნამდვილი ბედნიერება და თავისუფლება, პირველად ამოისუნთქეს თავისუფლად.

დიდია ამიერ-კავკასიის მშრომელთა მონაპოვარნი, მაგრამ ყველაზე დიდი და ძვირფასია ჩვენი მთავარი მონაპოვარი—უმტკიცესი, ურღვევი მეგობრობა, რომელიც სუფევს ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის და რომელიც თქვენი, ამხანაგო სტალინ, დიდი და ყოველი ჩვენგანისათვის ძვირფასი სახელით არის გაბრწყინვებული.

ამ მეგობრობამ განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი ახლა, მრისხანე განსაცდელისა და საფრთხის ჟამს, რომელიც თავს დასტრიალებს ჩვენს სამშობლოს, საბჭოთა სამხრეთს, კავკასიას.

შავბნელი, ბარბაროსული ძალა ისწრაფვის გასთელოს და სისხლში ჩაახრჩოს ყველა ჩვენი დიადი მონაპოვარნი, ყოველივე ის, რაც ჩვენ მძიმე შრომით მოვიპოვეთ.

სსრ კავშირის ყველა მოძმე ხალხთან ერთად ამიერ-კავკასიის ხალხები აღსდგნენ გერმანელ ფაშისტ ქვეწარმავლებთან საბრძოლველად, რათა დაიცვან თავიანთი კერა, თავიანთი ოჯახი, თავიანთი შვილები, თავიანთი თავისუფალი ცხოვრება.

ჩვენ ვიცით, რა მოაქვს ჩვენთვის ჰიტლერელ ბარბაროსს.

მას ჩვენთვის მოაქვს სიკვდილი და ნგრევა, შებილწვა და პატივის აყრა, მას სურს დაანგრიოს და მოსპოს მეგობრობა, რომელმაც ამიერ-კავკასიის ხალხები ერთიან მძლავრ ოჯახად შეადუღა.

არ დავემონებით გერმანელ ფაშისტ დამპყრობთ, არ შევარცხვენთ სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების ჩვენს საუკუნეობრივ ტრადიციებს.

გეფიცებით თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ მტკიცედ და მამაცურად, დიდ რუს ხალხთან—ჩვენს უფროს ძმასთან ერთად, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად ვიბრძოლებთ გერმანელ ფაშისტ ყაჩაღთა წინააღმდეგ მანამდე, ვიდრე სავსებით არ გავწყვეტთ ფაშისტ ქვეწარმავალს.

გეფიცებით თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ღირსეულად შევასრულებთ გერმანელ დამპყრობთა განადგურებისაკენ მიმართულ ყველა თქვენს მითითებასა და ბრძანებას!

თქვენს წინაშე, ამხანაგო სტალინ—ჩვენი მასწავლებლისა და აღმზრდელის წინაშე, საზეიმო ფიცსა ვდებთ, რომ კიდევ უფრო მაღლა ავწევთ ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის სახელოვან, საბრძოლო დროშას, რომელსაც სიკვდილი მიაქვს მტრისათვის, დღითი-დღე გავაძლიერებთ ფრონტისადმი დახმარებას, ყოველი ჩვენგანი თავდადებით იშრომებს თავის სამუშაო უბანზე, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს ყოველ მტკაველ ჩვენს მიწა-წყალს.

სიკვდილი გერმანელ ფაშისტებს!

გაუმარჯოს საბჭოთა ამიერ-კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხებს!

გაუმარჯოს ხალხთა დიად სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს გმირ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა დიდ მეგობარს, **სსრ კავშირის** ხალხთა ბელადს, ჩვენს მხედართმთავარს, **ჩვენს მამას, ჩვენს აღმზრდელს,** ამხანაგ სტალინს!

# უკუვაქციოთ და გავანადგუროთ ვანდალები

## კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვა

ამხანაგებო!

გაველურებულმა გერმანულმა ფაშიზმმა დაიმონა დასავლეთ ევროპის ერები და უნდა ბორკილი შეასხას კაცობრიობის პროგრესიულ აზროვნებას და მის კულტურას. მან გაუგონარი სისასტიკით შემუსრა ნაციონალური კულტურანი საფრანგეთისა, ბელგიისა, ნორვეგიისა.

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა მოსპეს ნაციონალური სახელმწიფოები ჩეხოსლოვაკებისა, პოლონელებისა, იუგოსლავებისა. მათ სურთ აღკვეთონ ყოველივე, რითაც თავი მოაქვს განათლებულ კაცობრიობას—თავისუფლება მწერლობისა, მეცნიერება, ხელოვნება.

ეს ვანდალები ახალი დროისა დღისით-მზისით თავს დაესხნენ ჩვენი ქვეყნის აყვავებულ მშვიდობიან ქალაქებს, ანგრევენ ჩვენი კავშირის უნივერსიტეტებს, სკოლებსა და კოლმეურნეობებს; უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, მოლდავეთის ხალხებს მათ წარსტაცეს თავისუფლება შრომისა და ნაციონალური კულტურის შექმნისა.

ჰიტლერსა და მის დამქაშებს ეგაწადიათ: ხაზი გადაუსვან ევროპის ერების ნაციონალურ თავისუფლებას და აღმართონ შავბნელი და საშინელი მიხაკისფერი ყაზარმა, სადაც მხოლოდ „არიელები" იქნებიან ხელისუფალნი.

ევროპის ხალხების გენიამ ვერ იგუა ის უღელი, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე სულს უხუთავდა მათ, იმ ანაციონალი კონგლომერატის მეოხებით, რომელსაც ეწოდებოდა რომის იმპერია გერმანული ნაციისა.

ვერც ბონოპარტემ შესძლო თავზე ხმალი გადაემტვრია არაფრანგთათვის და უნიფიცირებული იმპერია დაეარსებინა ევროპის კონტინენტზე.

თავისუფლებისმოყვარე ხალხების ენერგიამ დაამხო ანაციონალური იმპერიები ჰაბსბურგებისა, ჰოჰენცოლერნებისა და რომანოვებისა, ჩვენს თვალწინ.

ჰიტლერის შავი კორპუსები ვერ შესძლებენ ერთ უღელში შეაბან ევროპისა და აზიის ერები, ყველას ენები ამოსძალონ პირიდან და გერმანული ენა შეაჩეჩონ ყველას.

სამარცხვინო უღელს მონობისას არასოდეს არ შეურიგდება პროგრესიული კაცობრიობა. ველარც ის პროვოკაცია გასჭრის, რომელიც დასძრა ფაშისტურმა პროპაგანდამ, სახელდობრ: შუღლის აღძვრა საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის.

მრავალ ჭირნახულ ქართველ ხალხს ორი ათასი წლის მანძილზე მხარდამხარ უბრძოლია სომეხ თანამოძმეებთან ერთად. ჩვენ არაერთხელ შემოგვცვეთია ტანზე აბჯარი: ხაზარების, არაბების, სელჯუკთა და მონღოლთა იმპერიალისტური ურდოების წინააღმდეგ ბრძოლებში.

ჰიტლერელი დამპყრობელნი თავაგდებულად იხსენიებენ აღმოსავლეთის კულტურას, მაგრამ სამართალი გაიმარჯვებს და ევროპამ ქედი უნდა მოიხაროს ჩვენი წინაპრების დიდი კულტურულ-ისტორიული ღვაწლის წინაშე.

ეს ჩვენს მკერდს აწყდებოდნენ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დაძრული მტაცებელი ნომადების ურდოები, ეს გახლდათ ჩვენი მამაცი წინაპრები, ვინც ევროპას იფარავდა ამ ურდოების განუკითხველი ექსპანსიისაგან.

მცხეთა და ვაღარშაპატი, გარნისი და ბოლნისი, გელათი და გელართი—ეს ყოველივე იმ ბნელ საუკუნეებში შეუქმნიათ საქართველოს და სომხეთის ხუროთმოძღვრების დიდოსტატებს, როცა ტევტონები ჯერ კიდევ ველურები იყვნენ, ძაღლის ხორცსა სჭამდნენ და ჩალით დახურულ ბანაკებში ცხოვრობდნენ.

რუს და უკრაინელ ხალხებთან ერთად ჩვენ გაგვიღია სისხლი ჩვენი ნაციებისა ჩინგისხანის, ბათუს, ჯვებეს და თემურლენგის ურდოებისაგან ევროპის დასაცავად.

ქართველ ხალხს არასოდეს დაავიწყდება ის ძმური თანადგომა, რომელსაც რუსი ხალხი უწევდა მისი ისტორიის უმძიმეს დღეებში.

დიდია ძალა სტალინური თანამეგობრობისა ჩვენს კავშირში. მტრის ვერავითარი ძალები ვერ დაარღვევენ იმ მჭიდრო მეგობრობას, რომლითაც შეკავშირებული არიან სომეხი და ქართველი, აზერბაიჯანელი და უზბეკი, რუსი და უკრაინელი—პარტიული და უპარტიო. ყველანი დარაზმული ვართ ჩვენს ქვეყანაში **სტალინის** დიდი დროშის გარშემო, კომუნისტური პარტიის გარშემო.

ჩვენი საზღვრებიდან უკუვაგდებთ საზიზღარ მტერს!

ამ დიდი განსაცდელის ჟამს, ისე როგორც არასდროს, გაალმასებული ენერგიით უნდა ვიბრძოლოთ და ვიშრომოთ ჩვენი ქვეყნის გადარჩენისათვის.

გაუმარჯოს ხალხთა სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ჩვენს მამაც წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენი ბრძოლის, ჩვენი თავისუფლებისა და ღირსების დროშას—**ლენინ-სტალინის** დროშას!

ჩვენს გამარჯვებას გაუმარჯოს, ამხანაგებო! **(ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

# დიდ რუს ხალხთან ერთად

## გერონტი ქიქოძის სიტყვა

შარშან ზამთრის პირას განცდილმა მარცხმა ფაშისტური არმიის მთავარსარდლობა აიძულა სტრატეგიული გეგმა შეეცვალა: შარშან მტერი მთელს უზარმაზარ ფრონტზე გვიტევდა ყინულოვანი ოკეანიდან დაწყებული შავ ზღვამდე, წრეულს კი ჩრდილოეთის სექტორზე, არსებითად თავდაცვაზე გადავიდა, რათა მთავარი დარტყმა განავითაროს სამხრეთისაკენ, ხელში ჩაიგდოს ჩვენი ნავთის საბადოები და ამავე დროს კავკასია და ცენტრალური რუსეთი გასთიშოს.

როგორ ხვდება ქართველი ხალხი ამ უდიდეს საფრთხეს, სახელდობრ მტრის ურდოების მოახლოვებას კავკასიონის ქედთან?

ქართველ ხალხს დიდ რუს ხალხთან მრავალსაუკუნიანი ტრადიცია აკავშირებს, ამ ტრადიციას საფუძვლად ღრმად შეგნებული ნაციონალური ინტერესები უძევს. მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ქართველმა მეფეებმა მოსკოვის მეფეებს მფარველობისა და დახმარებისათვის მიმართეს, მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე, როცა ერეკლე მეორემ ცნობილი ტრაქტატის დადებით ფორმალურად აღიარა რუსეთის სუვერენიტეტი, საქართველოს ისტორიას არ ახსოვს არც ერთი მეტად თუ ნაკლებად გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც რუსული ორიენტაციისათვის ეღალატოს.

მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა, ყველა გამოჩენილი ქართველი საზოგადოებრივი მოღვაწე — ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები გადაჭრით უარყოფდნენ განკერძოებულ ქართულ პოლიტიკას, განსხვავებულს მოწინავე რუსული საზოგადოების პოლიტიკისაგან. ისინი საქართველოს აღორძინების საწინდარს თვით რუსეთის განახლებასა და აყვავებაში ხედავდნენ; ისინი იმაზე ოცნებობდნენ, რომ საქართველოს პოლიტიკური ავტონომია და კულტურული განვითარების შესაძლებლობა მისცემოდა რუსეთის ფარგლებში, ესე იგი ბევრად უფრო ნაკლებს სჯერდებოდნენ, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლებამ მოგვცა.

დაუსრულებლად მდიდარია იმ რუს და ქართველ მეომართა გალერეია, რომელნიც მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრების წინააღმდეგ.

ქართველი ხალხი განსაკუთრებული მადლობის გრძნობით იხსენიებს იმ რუსი მხედრების სახელებს, რომელთაც ის თავიანთი მკერდით ფიზიკური განადგურებისაგან დაიცვეს და მას მშვიდობიანი აყვავების შესაძლებლობა მისცეს. დღეს ქართველი ხალხი განსაკუთრებული სიყვარულით ფიქრობს დიდი რუსი ხალხის შვილებზე, რომელნიც მამაცურად ებრძვიან ფაშისტურ ბანდებს, რათა ჭალარა კავკასია დაიცვან მტრის შემოსევისაგან. ქართველი ხალხისათვის სავსებით ცხადია, რომ ის საფრთხე, რომელიც მას გერმანელი ფაშისტებისაგან ელის, გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ყველა კატასტროფა იყო, რომელიც მას ოდესმე ისტორიულ წარსულში მოვლინებია.

გერმანელი ფაშისტები, რომელთაც თავიანთი იდეოლოგების პირით თავიანთი თავი გამოაცხადეს ჩრდილოეთის „რჩეულ" რასად, მოწოდებულად იბატონოს „გადაგვარებულ და მდაბიო რასებზე", ზიზღით იხსენიებენ ქართველ, სომეხ, აზერბაიჯანელ ხალხებს. რას უნდა ელოდეს, გარდა დამონებისა, საქართველო ამ ახლად მოვლენილი სისხლის არისტოკრატიისაგან, რომელმაც ორსამ წელიწადში მოასწრო ნანგრევებად გადაექცია დასავლეთ-ევროპის აყვავებული ქვეყნები— საფრანგეთი, პოლონეთი, ბელგია, ჰოლანდია, ნორვეგია, ჩეხია, იუგოსლავია და იქ კოლონიური ჩაგვრისა და აღვირახსნილი ექსპლოატაციის რეჟიმი დაამყარა?

სრულიად ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ქართველი ხალხისათვის ორგანულად მიუღებელია რასობრივი განკერძოების და რასობრივი სიძულვილის შოვინისტური პოლიტიკა. სსრ კავშირის ხალხებთან ჩვენ საუკუნეობრივი ისტორიული ტრადიციები, ნაციონალურ ინტერესთა და კულტურულ მისწრაფებათა ერთობა გვაკავშირებს. თანამედროვე ამიერ-კავკასიელი ერების წინამორბედები და წინაპრები—ძველი იბერიელები, სომხები და ალბანელები თითქმის ერთსა და იმავე დროს გამოვიდნენ ისტორიულ ასპარეზზე, მათი ბედი ხშირად გადაჯაჭვულა ერთმანეთში. დღეს ჩვენ გვაერთებს საერთო ინტერესები, ხალხთა სტალინური მეგობრობის დიადი იდეები, დიადი მიღწევები ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკისა, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღო სისხლისმღვრელ ეროვნულ შუღლს.

ქართველი ხალხი თავის უფროს ძმასთან—რუს ხალხთან ერთად იბრძვის ყველაზე უფრო უნივერსალური და პროგრესიული იდეალებისათვის, რომლებისთვისაც კი ოდესმე კაცობრიობას უბრძოლია. ეს ბრძოლა ღრმა დრამატიზმითაა აღსავსე, და მისი მონაწილეების გზა მარტოოდენ ვარდებით არ არის მოფენილი. ახალი სამყარო წარმოიშვა ორი ძველი კონტინენტის მიჯნაზე. ესაა ძლიერი, მრავალერიანი სოციალისტური სახელმწიფო—სსრ კავშირი, რომელიც საქმით უზრუნველჰყოფს ხალხთა განვითარების ნამდვილ თავისუფლებას, მათს ნაციონალურ კულტურას, მათს ბედნიერს შემოქმედებითს ცხოვრებას. ამ თავისუფლებას, ამ დიად ისტორიულ მიღწევებს ჩვენ ვერასოდეს ვერავის ვერ დავუთმობთ.

შევაჩეროთ და გავანადგუროთ გათავხედებული მტერი, ავამოქმედოთ მთელი ჩვენი ძალები და შესაძლებლობანი, და გამარჯვება ჩვენს მხარეზე იქნება!

გაუმარჯოს წითელი არმიის დიდს სტრატეგს, ხალხთა ბელადს ამხანაგ **სტალინს! (მთელი დარბაზის ტაში).**

# კავკასიონი

სოლომონ თავაძე

[illegible]

## საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში

[illegible]

## დიდი მხილების წიგნი

[illegible]

...თაურით „ისინი, ვინც გასცა საფრანგეთი“. ამ კრებულში შეტანილია ცნობილი ფრანგი ჟურნალისტი ანდრე სიმონის ორი დიდი ნარკვევი „მე ბრალს ვდებ“ და „ადამიანები, რომლებმაც გასცეს საფრანგეთი“, ინგლისელი ჟურნალისტი გორდონ უოტერფილდის ნარკვევი „საფრანგეთის ტრაგედია“, ფრანგი ჟურნალისტის — პერტინაქსის ნარკვევი „გამელენი“ და ფრანგი მწერლის ჟიულ რომენის სამი სტატია — „გამელენის საიდუმლოება“, „ვინ იხსნა ფაშიზმი“, „ნაცის საიდუმლოება“.

# შელლი — ხალხთა მეგობრობის მომღერალი

1792—1822—1942

[illegible]

...ამ რამდენიმე წლის წინად ისტორიულად დაიდგა ჩვენს სცენაზე რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა (თარგმანი პოეტ ვალერიან გაფრინდაშვილისა).

შელლის შემოქმედებაში საპატიო ადგილი უჭირავს კოველდღიურობის გამოხატვასაც. ასეთია ლექსების მთელი ციკლი და პოემა „იულიან და მადდალო“, მაგრამ მთელი თა-

[illegible]

...ხალხთა მეგობრული კავშირის განმტკიცებლად. რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და ძლევამოსილი სოციალისტური აღმშენებლობის ცეცხლში გამოსჭედა საბჭოთა ქვეყანამ თავისი ბედი. ჩვენი ქვეყანა გადააქცია ხალხთა ძმობისა და მეგობრობის მომღერალი პოეტების ოცნების ხორცშესხმულ სინამდვილედ.

## მწერალთა ბრიგადა გურჯაანსა და ველისციხეში

ათი დღის წინად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა გურჯაანსა და ველისციხეში მიავლინა მწერალთა ბრიგადა. ბრიგადაში შედიოდნენ შალვა დადიანი, სოლომონ თავაძე, მიქელ პატარიძე და ანდრო თევზაძე. ბრიგადამ პირველი საღამო გამართა 22 აგვისტოს გურჯაანის რკინისგზელთა კლუბში, რკინიგზის მუშა-მოსამსახურეებისა და კოლმეურნეთათვის. ვრცელი სიტყვით თემაზე „სამამულო ომი“ და საქართველოს საბჭოთა მწერლობა“ გამოვიდა შალვა დადიანი. შემდეგ თავიანთი მხატვრული ნაწარმოებები წაიკითხეს შალვა დადიანმა, სოლომონ თავაძემ, მიქელ პატარიძემ და ანდრო თევზაძემ. ამავე პროგრამით საღამო გაიმართა ველისციხის საკოლმეურნეო თეატრში. აუდიტორია ყველგან ღრმა ინტერესით უსმენდა მწერლებს, რომლებიც მსმენელების დაჟინებული მოთხოვნით კითხულობდნენ პროგრამით გაუთვალისწინებელ სხვა თავის ახალ ნაწარმოებებსაც.

# ახალი თეატრალური სეზონი

## რუსთაველის სახელობის თეატრი

[illegible]

## მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

[illegible]

## ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრი

[illegible]

## ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი

[illegible]

## დიდი სამამულო ომი საბჭოთა კავშირის ხალხთა პოეზიაში

[illegible]

...კომისიების ბიურო შეუდგა საბჭოთა რესპუბლიკების მწერალთა პოეტურ ნაწარმოებების სიტყვა სიტყვითი თარგმანების კრებულთა გამოცემას. პირველი ასეთი კრებული უკვე გამოვიდა. მასში მოთავსებულია არა მარტო რუსულ ენაზე თარგმნილი ტექსტი, არამედ დედანიც იმ ენაზე, რომელზედაც ავტორს დაწერილი აქვს თავისი ნაწარმოები. ნაჩვენებია ლექსის მეტრი, განმარტებულია თვითეული ლექსის თავისებურება და მოცემულია მისი მხატვრული თარ-

[illegible]

...ბათ მოძმე რესპუბლიკების მწერალთა კავშირებს, არის ის, რომ გაუადვილონ მთარგმნელებს საბჭოთა პოეტების საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმნა. ქართველ საბჭოთა პოეტებიდან ამ კრებულებში მოთავსებული იქნება გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ალიო მაშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ილო მოსაშვილის, ი. გრიშაშვილის, ირაკლი აბაშიძის, ა. აბაშელის და სხვების ლექსთა სიტყვა სიტყვითი და მხატვრული თარგმანები.

## ბიბლიოგრაფია

# „ქართველი გმირები“

ქართველ ხალხს თავისი ისტორიის მანძილზე მრავალი მძიმე და სასტიკი ომი უწარმოებია თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად. ამ ბრძოლებში ხალხს გამოუზრდია არა ერთი და ორი გმირი. ამ სახელოვან მებრძოლთა ზოგიერთი წარმომადგენლის შესახებ მოგვითხრობს გიორგი ლეონიძის წიგნაკი „ქართველი გმირები“. ნაშრომში მოთავსებულია შემდეგი წერილები: „შალვა-შავლეგო“, „ზეზვა გაფრინდაული“, „ქართველი ქალი“, „გმირი გლეხის ქალი“.

როგორი იყო ამ მებრძოლთა გმირობის ხასიათი?

შალვა ანუ შავლეგო ხალხის გადმოცემით დიდად სახელოვანი გმირი იყო. იგი თავდადებულად ებრძოდა საქართველოს მტრებს. ამიტომ იგი ხალხის დიდად საყვარელი პიროვნება იყო. მთასა და ბარში მასზე მრავალი ლექსი შენახულა. გ. ლეონიძე აღნიშნავს, რომ შალვა-შავლეგოს თქმულების საფუძველი ნამდვილი ისტორიული ფაქტია, იგი დამოწმებულია ჩვენი უძველესი საისტორიო ძეგლის — „ქართლის ცხოვრების“ მიერ. შავლეგო საერთოდ ესაბამება ისტორიის მონაცემს, განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქას. ამ თქმულებას შვიდასი წლის წარსული აქვს და მივყევართ თამარის მეფობამდე. თუ „ქართლის ცხოვრებას“ გადავხედავთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ შავლეგოს თქმულებაში ხალხის ხსოვნას შემოუნახავს მე-12-13 საუკუნის გმირი შალვა ახალციხელი და მისი ძმა ივანე, რომელთაც თავიანთი ქველი გმირობით ადიდეს თამარის მეფობა.

ჩვენი ქვეყნის ისტორიულ მოვლენებთან არის დაკავშირებული ზეზვა გაფრინდაულის გმირობაც. ეს ის დროა, როდესაც ქართველებს ბრძოლა უხდებოდათ შაჰ-აბაზისა და მისი მომდევნო სპარსელი შაჰების ურდოების წინააღმდეგ. ზეზვას გმირობისა და გამჭრიახობის შედეგად აიღეს ქართველებმა დიდად გამაგრებული ბახტრიონის ციხე, რომელიც მაშინ სპარსელებს ეჭირათ. შემდეგშიაც ზეზვას არა ერთი სასახელო საქმე ჩაუდენია ჩვენი ქვეყნის დაცვისათვის.

კრებულში მოთავსებული შემდეგი ორი წერილი შეეხება განსაკუთრებით გმირ ქართველ ქალებს, რომლებიც თავიანთ მამებთან, ძმებთან და ქმრებთან ერთად შესანიშნავი ვაჟკაცობის, თავდადების მაგალითებს იძლევიან. ორივე ეს ნარკვევი დიდის ინტერესით იკითხება.

გმირები ყოველთვის ცოცხლები არიან ხალხის ხსოვნაში. მათი საქმის ჯილდო უკვდავებაა. მაგრამ სამშობლოს ძნელბედობის დღეებში ისინი განსაკუთრებული შარავანდედით წარმოსდგებიან შთამამავლობის წინაშე.

დღეს პირსისხლიანი ფაშისტი ბარბაროსების შესამუსრავად ამდგარმა საბჭოთა ქვეყანამ ათასობით გამოავლინა ლეგენდალური გმირები, რომლებიც შეუპოვარი თავდადებით ებრძვიან და ანადგურებენ ჰიტლერელ ურდოებს. ჩვენი ხალხის გმირული ტრადიციები სამამულო ომის დღეებში განსაკუთრებულის შარავანდედით ცოცხლდება და მოგვიწოდებს ვაჟკაცური ბრძოლისაკენ, სამშობლოს თავდადებული დაცვისაკენ.

გიორგი ლეონიძის „ქართველი გმირები“ დროულად იქნა გამოცემული. იგი ჩვენს ახალგაზრდობას გააცნობს ქართველი ხალხის გმირ შვილებს, რომლებიც ასე თავდადებით იცავდნენ ქვეყანას.

„ქართველი გმირები“ გამოცემულია საქართველოს განსახკომის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტ. გამომცემლობის მიერ.

**დ. ბივარბილიანი**

# სიზმარშიაც კი...

როდიონ ქორქია

1.

დიმიტრი ბორგავს, შფოთავს. ისე ხრიალებს, თითქოს ყელში ხელი წაუჭირესო.

საწადელს კი ეწია: ჯარიდან გამოიქცა და თავის სოფელს მიაღწია. დაღამებას უცდის, გვიმარონაში ზის. გამოჩენისა ეშინია. უყურებს შარაზე მიმავალთ. აკვირდება სოფელს და, რაც უფრო აკვირდება, ახალი გრძნობა იპყრობს: შიში, ვაი თუ დამინახონ... იცოდა დიმიტრიმ, რაც მოელოდა. მაგრამ გვიმარონაში დამალვამ ახლებურად მოაჩვენა თავისი საქციელიც და თავისი სოფელიც...

უყურებს შარას დიმიტრი და ხედავს: არც ერთი მისი ტოლი არა ჩანს. მისი ტოლები, ყველანი, ჯარში არიან. მხოლოდ მოხუცები, ქალები და ბავშვები გამოჩნდებიან ხოლმე ქუჩაში ან ეზოებში.

აი გამოჩნდა პიონერი სანდრო. ირემივით მოუღერებია ყელი. ხელში წერილი უჭირავს და გასძახის:

— მართა ბიცოლა, მართა ბიცოლა! არჩილ ბიძიას წერილია ჯარიდან!

აივანზე შუახნის ქალი გადადგა და სიხარულით ჩაირბინა კიბე. დიმიტრიმ იცნო: ეს ქალი მისი მეზობლის და, მეთაურის არჩილის დედაა.

— რაო, რას იწერება? — მოუთმენლად გასძახა მართამ სანდროს.

— კარგად ვარო, ბიცოლა, კარგად! — უპასუხა სანდრომ. — ერთი ცუდი ამბავი კი სწერია: დიმიტრიმ გვიღალატა და ჯარიდან გამოიქცა.

— ვაი, მის ცოლშვილს, უბედურს! — შეჰკივლა მართამ, — უბედურო ანეტა, როგორ შეგირცხვა ოჯახი!..

დიმიტრის გააჟრჟოლა. გადაუხდის არჩილს სამაგიეროს! ვინ ეხვეწებოდა, რას იწერებოდა?

მაგრამ ცივმა ოფლმა მაშინ დაასხა დიმიტრის, როცა მართას შეკივლებაზე დიმიტრის სახლის აივანზე ლამაზი ჭარმაგი ქალი გამოჩნდა და ტკბილი ხმით გასძახა მართას:

— რა იყო, ქალო? რა დაგემართა?

მართამ არაფერი არ უპასუხა. ლამაზმა ქალმა ეზო გადალახა და მართას მიაშურა. ლამაზ ქალს 12-13 წლის ბიჭი მისდევდა.

დიმიტრის გულმა ბაგა-ბუგი უწყო. ეს ლამაზი, ტანწერწეტა, ტკბილხმიანი ხომ მისი ცოლია? მისი ანეტა? ეს ბიჭუნა ხომ მისი შვილია, მისი გურამი.

— რა იყო, ქალო? რა დაგემართა? არჩილს ხომ არა დამართნია-რა? — მიმართა ანეტამ. მაგრამ მართა სდუმდა, ხმას არ იღებდა.

არც მაშინ სთქვა რამე მართამ, როცა ანეტა მიუახლოვდა. ოღონდ წერილი გაუწოდა ჩუმად.

დიმიტრი ხედავდა, როგორ წაბარბაცდა ანეტა და სვეტს მიეყრდნო. კარგად ხედავდა, როგორ იხოცავდა ცრემლებს ცოლი. დიმიტრიმ ისიც დაინახა, როგორ გამოართვა გურამმა წერილი დედას, წაიკითხა და გაშეშდა.

„რას იტყვის ჩემი შვილი, ჩემი ბიძიკო? — გაიფიქრა დიმიტრიმ, — ნუ თუ არ ენატრება მამის ნახვა?“

გურამმა წერილი დაუბრუნა და თვალებზე ხელი აიფარა. ცხადი იყო, ტიროდა გურამი.

ტყვიასავით მძიმე სიჩუმე დააწვა დიმიტრის და სირცხვილმა მარწუხივით მოუჭირა გულზე. უცებ რაღაც ცივი ააცოცდა დიმიტრის ხელზე. დახედა: ჭია იყო. ერთხანს უყურა, მერე გადააგდო და აივნისაკენ გაიხედა. ქალები აივნიდან ჩასულიყვნენ და ჭიშკართან იდგნენ. ანეტა ეხვეწებოდა მართას:

— შენი ჭირიმე, ჩემო მართა, არ გაამხილო არსად. ვაი სირცხვილო! ვაი ჩემო კარგო ოჯახო!.. ჩემი გურამის მამა დეზერტირი? ჩემი ქმარი დეზერტირი? როგორ გავახილო თვალი მეზობლებში? სად გამოვჩნდე?

უცებ გურამი ეცა სანდროს და კისერში ხელი ჩაავლო.

— შენ ვინ მოგცა ეს წერილი? ტყუილია. მამაჩემი არ იქნება დეზერტირი. არა!.. აი ნიკოს წერილიც მოვიდა, მოჰკლესო. ტყუილი კი ყოფილა. დაუჭრიათ მხოლოდ.

— რა ჩემი ბრალია? — დაუყვირა სანდრომ. — მამა-შენი რომ დეზერტირი იყოს, მე რა შუაში ვარ?

ქალებმა ძლივს გააშველეს ბავშვები.

2

მაშ ასე, დიმიტრიმ მოსჭრა ოჯახს თავი, შეარცხვინა თავისი ცხოვრების ერთგული მეგობარი — ცოლი, შეარცხვინა თავისი საყვარელი შვილი... ვაჰ სადა ხარ, სიკვდილო!?

თითქოს უსახელოდ, უნამუსოდ მოკვდა დიმიტრი. თითქოს აქ გვიმარონაში კი არ იმალება დიმიტრი, არამედ იქ ასვენია, შერცხვენილ სახლში, სახლში კი მოდიან და მოდიან მეზობლები, შემოვლენ ხვნეშით, ოხვრით და ბრუნდებიან ცივად, თავჩაქინდრულნი.

— მოღალატე! — ამბობს მოხუცი ბერო. — ჩემი სამი შვილი ფრონტზეა, დიმიტრის კი რა დაემართა? რამ დააბაბუნა ვაჟკაცი კაცი?

— არ ყოფილა ვაჟკაცი, — უთხრეს ბეროს. — ვაჟკაცი არც თავს შეირცხვენდა, არც ჩვენ შეგვარცხვენდა...

დიმიტრის ახლა თავისი სოფელი სულ ახლებურად მოეჩვენა: თითქოს ხეებმაც კი დაიწყეს ჩურჩული:

— დეზერტირი! მოღალატე! დეზერტირი!..

თითქოს ფართო სუდარა გააკრეს დიმიტრის აივანზე, სვეტიდან სვეტამდე, წარწერით:

„აქ ასვენია ჯარიდან გამოქცეული, დეზერტირი და მოღალატე დიმიტრი ნებაშვილი, მეზობლებო, გამოიტირეთ მისი სახელი და შეიბრალეთ მისი ოჯახი!“

კვლავ ხედავს დიმიტრი:

სოფლის ბიჭები შეგროვილან და თამაშობენ. იმ ბიჭებში კი მისი გურამი არ არის. გურამი თავმოყვარეა და განა გამოჩნდება ტოლებში? ხომ შეარცხვენენ: დეზერტირის შვილი ხარო.

— ვენაცვალე მაგას! — იტყოდა ხოლმე ანეტა. — ჩემი გურამი მამასავით თავმოყვარე ბიჭია.

ჰო, იყო დრო, როცა დიმიტრი მართლა თავმოყვარე იყო. ახლა კი, ახლა დეზერტირია და ჭიასავით შემძვრალა გვიმარონაში. ვერ ბედავს მზის სინათლეზე გამოჩენას. როგორ გამოვიდეს? რა პირით ეჩვენოს ცოლს, შვილს, მეზობლებს, ქვეყანას, მზეს?

ხომ ეტყვიან დედები და მამები:

ჩვენი შვილები ფრონტზე არიან. შენ რა გინდა აქ?

ხომ ეტყვიან შვილები:

— ჩვენი მამები ფრონტზე არიან. შენ რა გინდა აქ?

ხომ ეტყვიან ქალები:

— ჩვენი ქმრები სისხლსა ღვრიან, შენ რა გინდა აქ?

ხომ დაიკივლებს მიწაც:

— მე იქ მიცავენ გმირები, შენ რა გინდა აქ?

უცებ ძაღლი გადახტა ღობეზე ყეფით და წკმუტუნით გაექანა დიმიტრისაკენ. შევარდა გვიმარონაში და თვალებში შეაჩერდა პატრონს. ოჰ! რამდენი საყვედურია ჭკვიანი ძაღლის თვალებში, თითქოს ეუბნება ძაღლი:

— რად შემარცხვინე, პატრონო? მე ერთგულად ვუვლიდი შენს სახლ-კარს, შენს მინაგარს. მე ღამეები არ მეძინა, რომ დამეცვა შენი ეზო. შენ კი შემარცხვინე!

და ძაღლმა, თითქოს პატრონი მოუკვდაო, საზარლად დაიყმუვლა. შიში გაჰქრა და სირცხვილმა თითქოს მათრახი გადაუჭირაო.

— აჰ! აღარ შემიძლიან, არა, არა! — დაიღრიალა დიმიტრიმ.

3.

— დიმიტრი, დიმიტრი! გაიღვიძე კაცო, რა გაყვირებს? — და მეზობლად მწოლარე არჩილმა ფრთხილად შეანძრია.

დიმიტრის გამოეღვიძა. მიიხედ-მოიხედა. ფანჯრიდან სავსე მთვარე მოსჩანდა. შორს დაღესტნის ჩუმი მთები იდგნენ, ხოლო გვერდით ეწვა თავისი ათმეთაური არჩილი, თავისი მეზობელი.

— გონს მოდი, წყალი დალიე, — ეფერებოდა არჩილი, — რა დაგემართა?

— რა საზიზღარი სიზმარი ვნახე! — უპასუხა დიმიტრიმ. — თქმაც კი მესირცხვილება...

— რა დაგესიზმრა?

— თითქოს... არა, თქმაც კი მესირცხვილება... არა, არა! მე ჩემს ოჯახს, თქვენ არასოდეს არ...

— მაინც, რაო, შე კაცო, არ იტყვი? — გაუკვირდა არჩილს.

— თითქოს... დეზერტირი ვიყავი... ფუ, რა უსინდისო სიზმარია!

— მართლაც რომ უსინდისო სიზმარია! — დაეთანხმა არჩილი. — კაცო, ჩემო დიმიტრი, ფიქრებშიაც კი სუფთა უნდა იყოს, ფიქრი მალულია. მებრძოლის გულიც კარგი თოფის ლულასავით სუფთა უნდა იყოს...

დიმიტრი მიხვდა და უპასუხა:

— მართალი ხარ, არჩილ; არც ჩემი გული, არც ჩემი თოფი სამშობლოს არ უღალატებს... დღეიდან სიზმარშიაც კი...

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 11125